№ 27
პარასკევი, 2 თებერვალი, 1901 წ.

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1877—1901

ივერია

№ 27
პარასკევი, 2 თებერვალი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათ დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 4 თებერვალს.

ქართული თეატრი

კვირას, 4 თებერვალს, 1901 წ.

ბენეფისი
კ. ს. მესხისა

წარმოდგენილი იქმნება 3 მოქმედ. კომედია

მადამ-სან-ჟენ

ეფემია მესხის მონაწილეობით

და ერთ მოქმედებიანი კომედია

ძმის ერთგ

მ. საფაროვისა და ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. გუნია

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардiана.
Тифлисъ, противъ памятн. Вороцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი. შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

მთავრობის განკარგულებანი.

დანიშნულ იქმნა ტფილისის სახაზინო პალატის კანცელარიის მოსამსახურე ს. ღვთისავრიშვილი ახალციხის მაზრის ხაზინის ბუჰგალტერის თანაშემწედ.

ახალი ამბავი

⁂ ხვალ, 3 თებერვალს, გორში, კნ. მაკრინე ამირეჯიბისა და ნინო დურმიშხანის ასულის მაკარაშვილის თაოსნობით ადგილობრივ დედათა პროგიმნაზიისა და საქალაქო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ, გაიმართება „ჩითოსანთა საღამო“. ტფილისიდგან ამ საღამოსათვის საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან, სხვათა შორის, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ელ. ჩერქეზიშვილისა და თავ. ი. ბარათაშვილი.

⁂ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დეპარტამენტს ნება დაურთავს, რომ კავკასიის სასოფლო სამეურნეო გამოფენა საბალოსნო სკოლის ბაღსა და მუშტაიდში გაიმართოს.

⁂ როგორც ვუწყით, ბაქოში, ეგრედ წოდებულ „თეთრ ქალაქში“, ამას წინად დიდი უბედურება დატრიალდა: მოულოდნელად გაჩენილ ცეცხლისაგან გადაიწვა დიდძალი ნავთი, დაიღუპა რამდენიმე კაცი და 500 ოჯახამდე დაზარალდა, უმთავრესად მუშები. განსაკუთრებულმა კომიტეტმა დანამდვილებით ვერ გამოარკვია, რამდენი კაცი დაიღუპა და რამდენი დაზარალდა. დაზარალებულთა რიცხვი-კი მეტად დიდია; მათ აღარც სახლ-კარი გააჩნიათ და აღარც საკვებ-საჭმელი. შემოწირულების მიღებას იმ დღიდგანვე შეუდგნენ, რა დღესაც უბედურება მოხდა. 30 იანვრამდე შეიკრიბა სულ 6,139 მანეთი 12 კაპეიკი.

⁂ 29 იანვარს ბათუმის ქალაქის საბჭოში მომხდარა არჩევანები ადგილობრივ გამგეობის ერთის წევრისა, ი. ა. ივანოვის ნაცვლად, რომელსაც სამსახურის ვადა გასვლია. ხმოსნებს კანდიდატები ბარათებით დაუსახელებიათ. ყუთი დაუდგამს მხოლოდ ბ-ნ ივანოვს, რომელსაც ამოსვლია 14 თეთრი და 19 შავი კენჭი. ამ რიგად ბ-ნი ივანოვი არ იქმნა არჩეული. ახალი არჩევანები საბჭოს მომავალს კრებაზედ მოხდება.

⁂ როგორც ბათუმის დამოჟნის ანგარიშიდგანა სჩანს, 14 დგან 20 იანვრამდე საზღვარ-გარეთ 63 ათასი ფუთი სიმინდი გაუტანიათ ბათუმიდგან.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ 30 იანვარს ბათუმში ადგილო-

ფელეტონი

რა გვარი საჭმელი უფრო შეჰფერის ადამიანს

მეცნიერთა აზრით, შესაძლოა პირველად ადამიანი გაჩენილიყოს თბილს ქვეყანაში, მაგრამ შემდეგ, გამრავლებისათანავე, ბრძოლას არსებობისათვის იძულებულ ეყო ადამიანი სხვა ადგილები მოეძებნა საცხოვრებლად, რის გამოც იგი ჩასდგა ბუნების ახალს ვითარებაშიო. რასაკვირველია, ყველგან ერთგვარი ბუნებრივი სიმდიდრე როდი იყო: ზოგან ადამიანი უფრო მეტს განცხრომაში იყო, ზოგან-კი მუდმივ ებრძოდა ბუნებასა და სხვა-და-სხვა მხეც-პირუტყვებს. ესევე იყო საჭმლის მოპოვების შესახებაც. ის გვარი საჭმლისა, რომლითაც ადამიანი იკვებებოდა რომელსამე მხარეს, დამოკიდებული იყო იმ ადგილის ბუნებრივ სიმდიდრისაგან. იქ, სადაც ტყიანი ადგილი იყო, ადამიანი ძალა-უნებურად მონადირედ უნდა გამხდარიყო და, მაშასადამე, ხორცის მჭამელი შექმნილიყო. ერთის მხრივ იმიტომ, რომ იგი ყოველ ღონისძიებასა და საშუალებას მოკლებული იყო შესდგომოდა ბრძოლას ამ უდაბურ ტყესთან, ხოლო მეორე მხრივ-კი თვით ეს ტყე აძლევდა საზრდოს, რადგან სავსე იყო სხვა-და-სხვა გვარ პირუტყვით.

დღესაც ასე სცხოვრობენ ინდიელები ამერიკაში, მდინარე ამაზონის მიდამოებში.

თუ სხვა-და-სხვა გარემოების წყალობით ადამიანი საცხოვრებლად ზღვის, ან მდინარის ნაპირას მოხვდებოდა, იგი ჰსაზრდოებდა თევზით. იქ-კი, სადაც ბუნება უხვი და მდიდარი იყო, სადაც ადამიანს გაურჯელად აძლევდა ხილეულობას და სხვა-და-სხვა გვარ მცენარეულობას, ადამიანის საჭმელს უფრო მცენარეულობა შეადგენდა.

ევროპის სხვა-და-სხვა ადგილის გამოქვაბულებში უძველეს ადამიანის ძვლებთან ერთად მეცნიერებმა აღმოაჩინეს ზოგიერთ პირუტყვთა ძვლებიც, რომლებიც სიგრძეზეა დახეთქილი, სჩანს ტვინის ამოსაღებად. აქედგან ის დაასკვნეს, რომ იმ დროის ადამიანი ევროპაში ხორცით იკვებებოდა. დღესაც ევროპის მცხოვრებთა უმრავლესი ნაწილი ხორცით იკვებება. მაგრამ ამავე დროს თითქმის მთელ აღმოსავლეთის ხალხთა—ჩინელებისა, იაპონელებისა, სპარსელებისა და სხ.—საჭმელს განსაკუთრებით მცენარეულობა შეადგენს.

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, უწინდელებრ ეხლაც დედამიწის სხვა-და-სხვა ხალხი ერთგვარად არ იკვებება. აი, ეს გარემოება კიდევ უფრო აძნელებს იმისს გამოკვლევას, თუ რა გვარი საჭმელი—ხორცი თუ მცენარეულობა უფროა შესაფერი ადამიანისთვის.

ადამიანის სხეული შესდგება მრავალ უჯრისაგან; ყოველ უჯრის თვისებაა საჭირო ნივთიერების შეთვისება იმ საჭმლიდგან, რომლითაც იკვებება ადამიანი ყოველ დღე. ამ გვარი თვისებისაა ყოველი უჯრა, ცალკე დაბალი არსება იქნება იგი, თუ ნაწილი დიდად განვითარებულ სულიერ არსებისა. ამ თვისებაზედ არის დამყარებული ადამიანის და საზოგადოდ ყოველის სულიერ არსების სიცოცხლე, უჯრათა გამრავლება და განვითარება.

ყველა უჯრებს შესაფერ და საჭირო მასალას აძლევს სისხლი, ხოლო ამ უკანასკნელს-კი—საჭმელი.

ადამიანის სხეულისთვის, წყლისა და ზოგიერთ მარილის გარდა, საჭიროა ცილის მაგვარი ნივთიერება, ქონი და აგრეთვე ის ნივთიერებანი, რომლებიც შესდგება შაქრისა და სახამებელიდგან. ფიზიოლოგია თხოულობს, რომ საჭმელი, რომლითაც ადამიანი ჰსაზრდოებს, შეიცავდეს ყველა ზემოხსენებულ ნივთიერებას და მასთან ცილის მაგვარ ნივთიერებას. ყოველ თითო ნაწილზედ ხუთი-ექვსი ნაწილი შაქარი და სახამებელი უნდა იყოს. ამგვარი საჭირო ნივთიერებანი ადამიანს შეუძლიან მიიღოს როგორც მცენარეულობის, ისე ხორცეულობისაგან შემდგარ საჭმლისაგან.

ადამიანისათვის დღეში საჭიროა:

მოსვენების დროს

	გრამ.
ცილის-მაგვარი ნივთიერებანი	70,87
ქონი	28,35
შაქარი და სახამებელი.	310,20

ზომიერ მუშაობის დროს

	გრამ.
ცილის-მაგვარი ნივთიერებანი	130
ქონი	84
შაქარი და სახამებელი.	404

დიდ მუშაობის დროს

	გრამ.
ცილის-მაგვარი ნივთიერებანი	155,92
ქონი	70,87
შაქარი და სახამებელი.	567,50

გამოჩენილ მეცნიერთა დაკვირვებიდგან სჩანს ნათლად, რომ ადამიანის სხეულისთვის არ არის საკმარისი ის საჭმელი, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთ რომელსამე ზემოაღნიშნულს ნივთიერებას შეიცავს; აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ის საჭმელი, რომლიდგანაც სხეულს შეუძლიან მიიღოს ცილის მაგვარი ნივთიერება, ქონი, სახამებელი და შაქარი. ამიტომ საჭიროა, რომ საჭმელი შერეული იყოს და არა ერთგვარი. ამ თვისების გარდა, საჭმელი უნდა აკმაყოფილებდეს კიდევ ერთ უმთავრესს საჭიროებას: თავისის რაოდენობით იმდენად ზომიერი უნდა იყოს, რომ მისი მონელება არ გაუძნელდეს კუჭსა და წელებს.

ჩვენ მოვიყვანთ გამოჩენილ ფიზიოლოგიის ორ ცხრილს, საიდგანაც მკითხველი დაინახავს, თუ რა დიდი განსხვავება არის საჭმლის რაოდენობაში, შესდგება იგი მხოლოდ მცენარეულობისა, თუ არეულია—

ბრივ გიმნაზიას ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლი გიმნაზიას შუადღისას გასჩენია. მაშინვე შესდგომიან ოთახებიდგან ავეჯეულობისა და ნივთების გამოტანას. ცეცხლი პირველად კვამლის ასავლელს გასჩენია, იქიდგან კიდევ სახურავს მოსდებია. საბედნიეროდ, მოსწავლეებს დროზედ გამოუსწვრიათ გარედ და უბედურება არ მომხდარა, თუმცა შიშით-კი ძალიან შეშინებიათ. მალე ცეცხლის მქრობელთა რაზმიც შესდგომია საქმეს. მახლობელი სახლები გადაურჩენიათ ცეცხლისაგან. ქალაქის გამგეობა გიმნაზიისათვის ეხლა ახალ შენობას ეძებს. დამწვარი სახლი სუკოიანისა ყოფილა; წარსულ შემოდგომაზედ შეუკეთებიათ და მოუწყვიათ იგი გიმნაზიისათვის. ცეცხლის ჩაქრობის დროს დაშავებულა ერთი კაცი, რომელსაც მოკიდებული კოჭი დასცემია ზევიდგან.

⁂ მომავალ სამეურნეო გამოფენის კომისარს თავ. ანდრონიკაშვილს უთხოვნია ტყე ბაღების მომშენებელ კომისიისათვის დაუთმოს ქალაქის სანერგეში $^1/_2$ დესიატინა ადგილი გამოფენის საბაღოსნო განყოფილებისათვის. კომისიას დაუდგენია თავ. ანდრონიკიშვილთან ერთად დაათვალიეროს ეს ადგილი.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მარტყოფში ადგილობრივ საზოგადოების ხარჯით სასოფლო ქსენონს აარსებენ. მარტყოფსა, ნორიოსა, დიდ-ლილოსა და პატარა ლილოს მცხოვრებთ გადაუწყვეტიათ წელიწადში 2000 მანეთი გაიღონ ამ ქსენონის შესანახად.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს უთხოვნია ქალაქის მოურავისათვის მონაწილეობა მიიღოს გამოფენის გამგე კომიტეტის მუშაობაში და ქალაქისაგან ორი კაცი დანიშნოს ამ კომიტეტის წევრებად.

⁂ როგორც გაზეთ „კავ-“-ს ატყობინებენ, ამ ცოტა ხანში ქუთაისსა და დაბა ონს შუა თვით-მოსიარულე ეტლი (ავტომობილი) დაიწყებს სიარულს. ეტლს 300 ფუთის ტვირთის ტარება შეეძლება; საათში 19—22 ვერსტს გაივლის.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, აზრადა აქვთ ონში დააარსონ ადგილობრივ სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება. წესდება უკვე შეუდგენიათ და უმაღლესს მთავრობისათვის გადაუციათ დასამტკიცებლად.

⁂ კავკასიის მუზეუმმა ამ ერთის წლის წინად განიზრახა გამოცემა წიგნებისა ამ სათაურით „კავკასიის მუზეუმის კოლექციები“. გამოცემულ იქმნება სულ 6 ტომი. 1-ლ ტომის შინაარს შეადგენს ზოოლოგია კავკასიისა, მე-2 ტ.—ბოტანიკა, მე-3—გეოლოგია, მე-4—ეტნოგრაფია, მე-5—არქეოლოგია და მე-6 ტომის შინაარს საზოგადო ხასიათი ექმნება. პირველი ტომი დაიბეჭდა შარშან 1899 წელს. მე-5 ტომის (არქეოლოგია) რედაქტორად მოწვეულია მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგო საზოგადოების თავმჯდომარე გრაფინია პ. ს. სუვაროვისა. („ტფ. ფურ.“)

⁂ ამას წინად ვწერდით, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოებას სესხად მიეცა 24000 მანეთიო. როგორც შევიტყეთ, ეს სესხი საზოგადოებას უსარგებლოდ მიეცა 6 წლის ვადით. სესხის გასტუმრება საზოგადოებამ მესამე წლიდგან უნდა დაიწყოს და წელიწადში 8000 მანეთი შეიტანოს.

⁂ 30 იანვარს ქალაქის ტყე-ბაღების გამშენებელ კომისიას სხდომა ჰქონია. კომისიას განუხილავს უკვე შემუშავებული სავალდებულო დადგენილებათა პროექტი. ამ პროექტის ძალით სახლის პატრონნი ვალდებულნი იქმნებიან თვალყური ადევნონ სახლების წინ დარგულ ხეებს. მათ უფლება არ ექმნებათ გამგეობის ნება-დაურთველად მოსჭრან ეს ხეები ან ახალი დარგონ, ხეხილის გარდა. მეეტლებს აეკრძალებათ ხეების ახლოს ეტლების გაჩერება, რომ არ გააფუჭონ ხეები; აეკრძალული იქმნება აგრეთვე ცხენებისა, ხარებისა და სხვა პირუტყვების მიბმა ამ ხეებზედ.

⁂ 31 იანვარს, ქალაქის გამგეობას მოუსმენია სარევიზიო კომისიის მოხსენება ივანოვის და მელიქ-ნუბაროვის გამსესხებელ კასების შესახებ და დაუდგენია: 1) სთხოვოს ტფილისის გუბერნატორს, დაავალოს ბ-ნ ივანოვსა და მელიქ-ნუბაროვს, რომ დამგირავებელთაგან დარჩენილი ფული (ივანოვს 6,233 მან. 23$^1/_2$ კაპ. და მელიქ-ნუბაროვთან 1,151 მან. 44 კაპ.) დაუყოვნებლივ გაგზავნილ იქმნას ქალაქის გამგეობაში დამგირავებელთა სიითურთ; 2) შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ დამგირავებლებისათვის დასაბრუნებელი ფული ამას იქით ეგზავნებოდეს გამგეობას შესანახად, და 10 წლის შემდეგ გამგეობას ნება მიეცეს ეს ფული საქველ-მოქმედო საქმეებს მოახმაროს; 3) ამ საქმის ოქმი და კომისიის მოხსენება წარუდგინოს ბ-ნ გუბერნატორს განსახილველად.

⁂ ტფილისის გუბერნატორს გაუგზავნია ქალაქის მოურავისათვის რიყისა და დესიმონოვის ქუჩების მცხოვრებთა შუამდგომლობა რიყის წყალდიდობისაგან დასაცველად ზომების მიღების შესახებ, ამასთან გუბერნატორს უთხოვნია აცნობოს, რა ზომები მიიღო ქალაქმა.

⁂ ბათუმის მეციხოვნეთა ბატალიონის პოდპოლკოვნიკი ნ. დ. დუმბაძე ბათუმიდგან ქუთაისში გადაუყვანიათ კურინის ქვეითა რაზმში.

⁂ როგორც სად. გორიდგან გვატყობინებენ, 31 იანვარს, შუადღის 12 საათზედ, ვაგონ ქვეშ მოჰყოლია ადგილობრივი მცხოვრები ერომიდმამიშვილი, 60 წლის მოხუცი. ვაგონს ზედ გადუვლია და მოხუცი გაუჭყლეტია.

⁂ სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს სტეფანოვს შუამდგომლობა აღუძრავს გამგეობის წინაშე ქალაქის სავადმყოფოს ხარფუხის განყოფილების გაფართოების შესახებ.

⁂ 31 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლოს განუხილავს საქმე ს. პატარძეულის მცხოვრების ივანე მიქელაშვილისა, რომელსაც შოშიევის ყავახანაში შარშან, 23 სექტემბერს, ღვთის საგმობელი სიტყვები წარმოუთქვამს. სასამართლოს გადაუწყვეტია, დაპატიმრებულ იქმნას მიქელაშვილი პოლიციაში 8 კვირით.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს სიღნაღიდგან სწერენ, ერთს მდიდარ ბაქოელს განუზრახავს სიღნაღელ ქალის შერთვა, მაგრამ საქმრო ცოლიანი აღმოჩენილა თურმე.

◆

დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. შილდა (თელავის მაზრა). 22 იანვარს სოფ. შილდის საზოგადოების ყრილობა მოხდა, რომელსაც დაესწრნენ: თელავის მაზრის შუამავალ-მომრიგებელი თავ. ჭავჭავაძე, მაზრის უფროსის თანაშემწე თავ. ჯანდიერი და ყვარელის ნაწილის ბოქაული ბ-ნი გომელაური. მიზეზი საზოგადო ყრილობისა მეტად რთული საქმე იყო და ყრილობისაგან მრავალმხრივ აწონ დაწონას და რჩევას თხოულობდა, რომ სოფლის მოხელეებად შესაფერი კაცები ამოერჩიათ, რომელთაც მართლა-და შესძლებოდათ კეთილსინდისიერად გაძღოლა და პატრონობა საზოგადოებისა. ვინ არ უწყის, რა ბოროტებას არა სჩადიან ჩვენი უსწავლელი სოფლის მოხელეები და რა უზომოდ არა ჰღვარძლავენ მთელი სოფლების კეთილ მდგომარეობას. და აი ამ საგნის შესახებ ზემოდ მოხსენებულმა ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აუხსნეს თავისით ყრილობას, თუ რა დიდი სიფრთხილე უნდა ეხმარათ სოფლის მოხელეების არჩევაში, ვინაიდგან ამორჩეულნი მოხელეებად უღირსნი პირნი ავნებდნენ მთელს საზოგადოებასა და თავიანთს თავსაც, რადგანაც ამ უკანასკნელთ მცირე დანაშაულებისათვისაც კი სასტიკი სასჯელი მოელით. მაგრამ მოწერილობა წინადვე ჰქონდათ მიღებული, რომ საზოგადოებას კარგად ეფიქრა, თუ ვინ უნდა ამოერჩიათ მამასახლისად, მისს თანაშემწედ, სუდიებად, კეთილდამფასებლებად და სხვანი. მიიღეს თუ არა მოწერილობა, დაიწყეს, ბ-ნო, ჩვენის სოფლის სხვა და-სხვა კუთხეში სადილების მართვა და საზოგადოების საპატიო პირთა მიწვევა... რადა და რისთვის, რასაკვირველია, ამას თქვენც მიხვდებით!.. ამიტომაც ბევრი გამოვიდა სოფლის ყრილობაზედ გულდინჯად იმ იმედით, რომ ჩვენ მიერ გამართულს სადილებს არავინ უღალატებსო, თუმცა საზოგადოების ყრილობამ სულ სხვა ხასიათი მიიღო და შეიგნო, თუ ამ უღირსთა ხელში რა შედეგი მოჰყვებოდა სოფლის ბედ-იღბლის ჩავარდნას.

შილდის სოფლის საზოგადოებამ, როგორც უდიდესმა (ყვარელის შემდეგ) მთელს თელავის მაზრაში, წარსულს წელსვე დაადგინა განაჩენი, რომლითაც საზოგადოებამ სოფლის ყველა მოხელეების მოწვევა ჯამაგირით იკისრა, ვინაიდგან უჯამაგიროდ კაცი თავისს მოვალეობას კეთილსინდისიერად არას დროს არ აასრულებს. ეს განაჩენი უკვე დამტკიცებულია ვისგანაც ჯერ არს. ამ რიგად მამასახლისობაზედ სუნადებულნი ბევრნი აღმოჩნდნენ, მაგრამ ყრილობამ სულ სხვა მხრიდგან შეჰხედა ამათ. არ შემიძლიან აქვე არ მოვიყვანო ამავე საზოგადოების ერთის მოხუცის გლეხის სიტყვები, რომლითაც მან მთელს ყრილობას მიჰმართა: „ძმანო და შვილნო! ბატონ ყმობის გადავარდნიდგან ჩვენ, გლეხებს, მოგვენიჭა ის თავისუფლება, რომ ჩვენის ცხოვრების გაუმჯობესობისათვის ჩვენვე ვიზრუნოთ, მაგრამ, დამერწმუნებით, ამ ხნის განმავლობაში ჩვენის საზოგადოების ცხოვრებას წინ წაწევას არა ეტყობა-რა. მიზეზი, რასაკვირველია, მრავალია, მაგრამ ამათ შორის პირველი ის არის, რომ ნამდვილი სოფლის მოხელენი არ გვყოლია, რომელთაც თავიანთი მოვალეობანი ჩვენის საზოგადოების წინაშე პირნათლად აესრულებინათ. კარგად იცით, ბევრს ვეცადენით, რომ ჩვენს შორის ისეთი კაცი აღმოგვეჩინა, რომელსაც ჩვენი იმედები გაემართლებინა, მაგრამ სულ ვტყუვდებოდით... ამიტომ ახლა დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ ჩვენის საზოგადოების პატრონობა უღირსს არ ჩავუგდოთ ხელში, მით უფრო, რომ ამიერიდგან ჯამაგირი უნდა გაძლიოთ; ვეცადნეთ აღმოვაჩინოთ მამასახლისად ისეთი კაცი, რომელსაც ჩვენის საზოგადოების პატრონობაცა და მასთან მთავრობის წინაშე პასუხის გებაც შეეძლებაო“.

ბევრი სჯა ბაასის შემდეგ შილდის საზოგადოების ყრილობამ ერთხმად სთხოვა შუამავალ მომრიგებელსა და მაზრის უფროსის თანაშემწეს, უშუამდგომლონ ბ-ნის ტფილისის გუბერნატორის წინაშე, ნება დაჰრთოს შილდის საზოგადოებას მამასახლისად გარეშე კაცი მოიწვიოს, რადგანაც თავიანთს შორის ღირსეული არავინ ეგულებათ, რომელსაც მამასახლისის მოვალეობის აღსრულება კეთილ-სინდისიერად შეეძლოს. ასე, ამ რიგად შილდის საზოგადოების ყრილობა მამასახლისის არჩე-

---

ხორცისა და მცენარეულობისაგან.

	გრამ.		გრამ.
ხორცი —	614	ბრინჯი —	2562
კვერცხი—	968	პური —	2875
პური —	1444	კარტოფ.—	10000

როგორც ვხედავთ, განსხვავება დიდია და უპირატესობა უნდა მიეცეს პირველ გვარ საჭმელს, ხოლო მეორე გვარი-კი აიძულებს ადამიანს მიიღოს იმდენად ბევრი, რომ ფრიად დიდი და უნაყოფო მუშაობა ემატება კუჭს. მაშასადამე, ადამიანის სხეულს ტყუილ-უბრალოდ ეკარგება ძალა.

ამ ჭეშმარიტებას, რომელიც მრავალ მეცნიერთა გამოკვლევაზედაა დამყარებელი, უძველეს დროიდგანვე ადამიანი ალღოთი ჰგრძნობდა: ძველადვე ადამიანი, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა ჰქონია ჰიგიენისა და ფიზიოლოგიისა, თავისის გემოვნების წყალობით გასაოცარ სარგებლობით აზავებდა საჭმელს: პურს, რომელიც ასე ღარიბია ქონით, უმატებდა ერბოს; ქონს, ერბოს, რომელნიც სრულიად მოკლებულნი არიან სახამებელს, უმატებდა კარტოფილს, მაკარონს; ქონს ატანდა პურსა და მარილს. ამგვარ სადილს ტკბილეულობით ამთავრებდა.

ჩვენ რომ ეხლა ადამიანის შიგნეულობის საჭმლის მომნელებელ ორგანოთა ანატომიური აგებულობა შევისწავლოთ, დავრწმუნდებით, რომ შერეული საჭმელი, შემდგარი მცენარეულობისა და ხორცეულობისაგან, უფრო შესაფერია ადამიანისთვის.

თუმცა ადამიანის კბილები იმ გვარის მოყვანილობისა და ისე ჩამწკრივებული არ არის, როგორც სხვა პირუტყვთა, რომლებიც განსაკუთრებით ხორცით იკვებებიან, მაგრამ არც ისეთი ხასიათისაა, რომ მხოლოდ მცენარეულობის დალეჭვისათვის გამოდგეს. ადამიანის ქვემო ყბა თუმცა უფრო მოძრავია, ვიდრე პირუტყვებისა, მაგრამ არც ისე, როგორც ბალახის მჭამელებისაა. ადამიანს პირში ჯირკვლები აქვს, რომლებსაც ნერწყვი გამოაქვთ. როგორც ფიზიოლოგიამ დაამტკიცა, ამ ნერწყვს დიდი გავლენა აქვს საჭმლის მონელებისთვის: უკვე პირშივე იწყება საჭმლის ზოგიერთ ნაწილთა მონელება ნერწყვის გავლენით. ეს ნერწყვი საკმარისია მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი იკვებება შერეულის საჭმლით და სრულიად არა ჰყოფნის იმ შემთხვევაში, როდესაც საჭმელი მხოლოდ მცენარეულებისგან შესდგება. ეხლა რომ შევადაროთ ადამიანის კუჭი და წელები მცოხნავ ცხოველთა კუჭსა და წელებს, დიდ განსხვავებას დავინახავთ მათ შორის: მცოხნავ ცხოველთ ოთხი კუჭი აქვთ, ადამიანს-კი მხოლოდ ერთი. გარდა ამისა, პირველთ წელები შედარებით უფრო გრძელი აქვთ, ვიდრე ადამიანს და საზოგადოდ ხორცის მჭამელ ცხოველთ. მაგალითად, ცხვრის წელები 28 ჯერ აღემატება მისს ტანის სიგრძეს; ყველაზედ მოკლე წელები აქვს ლომს, მხოლოდ ორი თავისს ტანის სიგრძისა, ადამიანის წელების სიგრძეს-კი შედარებით შუათანა ადგილი უჭირავს ლომისა და ცხვრის წელებ შუა.

გოჟმანის გამოკვლევით სჩანს, რომ როდესაც ადამიანი მხოლოდ მცენარეულობით იკვებება, გაცილებით უფრო მეტი განავალი აქვს, ვიდრე მაშინ, როდესაც ხორცეულობისაგან შესდგება. საჭმლის ის ნაწილები, რომლებიც მოუნელებლივ მიდის განავალში, მონელებული იქნებოდა, ადამიანს რომ წელები უფრო მეტის სიგრძისა ჰქონოდა, მაშასადამე, უფრო მეტს დროს რომ დარჩენილიყო საჭმელი წელებში და, მეორე, საჭმლის მომხარშველი წვენი, რომელიც წელებს გამოაქვთ, მეტი რომ ყოფილიყო. არამც თუ ადამიანისთვის, თვით იმ ცხოველთათვის, რომლებიც განსაკუთრებით მცენარეულობით იკვებებიან, ამ გვარის საჭმლის მონელება ადვილი არ არის, არამედ ძნელია. თუმცა მათ წელებში საჭმელი ძლიერ დიდხანს დაჰყოფს ხოლმე, ხან, მაგალითად, მთელი ერთი კვირა, მაგრამ მაინც ერთი მესამედი საჭმლისა მოუნელებელი რჩება.

რასაკვირველია, ადამიანს ბუნებამ ყველგან არ მისცა საშუალება იმ გვარი შერეული საჭმელი იქონიოს, როგორსაც ჩვენ ვამბობთ. როგორც ზემოდაცა ვთქვით, მთელი აღმოსავლეთი თითქმის მხოლოდ მცენარეულობით იკვებება: ევროპაშიაც კი მარტო შეძლებულ ნაწილსა აქვს საშუალება სჭამოს ამგვარი საჭმელები; საქართველოში ხომ სოფლებში მთელი წელიწადი მხოლოდ ლობიოთი და მხალით მიდიან იოლად.

მაშ თუ ადამიანისთვის შერეული საჭმელი ყველაზედ უფრო შესაფერია, რით უნდა ავხსნათ ის მოვლენა, რომ კაცობრიობის უმეტესი ნაწილი დღეს მცენარეულობით იკვებება? ეს იმითი აიხსნება, რომ ადამიანს, როგორც ყოველ დანარჩენ სულიერ არსებას, შეუძლიან ცოტ-ცოტად ყოველ-გვარ საჭმელს შეეჩვიოს; მაშინ სხეულშიაც შესაფერი ცვლილება ხდება. მაგალითად, აზიელს, რომელიც განსაკუთრებით მცენარეულობით იკვებება, მაშასადამე, მეტი მუშაობა სჭირია ამ საჭმლის მონელებისათვის, წელები გაცილებით უფრო გრძელი აქვს, ვიდრე ევროპიელს.

ველურნი ხალხნი, რომელნიც უფრო ძლიერ მოგვაგონებენ უძველეს ადამიანს, ყველაზედ უფრო ნათლად გვიჩვენებენ, თუ რა ნაირად შეუძლიან ადამიანის კუჭს სხვა-და-სხვა საჭმლის მიჩვევა. მაგალითად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განს ყოვლად გონივრულად მოეპყრა და კიდევაც ჰყავთ სახეში მამასახლისად ვინ მოიწვიონ. იმედია, შილდის საზოგადოება არჩევანში არ მოტყუვდება და კარგად განზრახულს საქმეს შესაფერის ნაყოფით დააგვირგვინებს.

ონისიმე მკერვალიშვილი

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. სამხრეთ აფრიკიდგან დაბრუნებულ თავისუფალ მეომართა დასახვედრად ნიუ-კასტლის ქალაქის მოურავმა ყველას მიწვევის ბარათები დაუგზავნა და უნდოდა, რომ ეს გარემოება რაიმე შესაფერის დღესასწაულობით აღენიშნა. როგორც გაზეთები იწერებიან, ქალაქის მოურავის ასეთი საქციელი ადგილობრივს პასტორს მალკოლმ კვანს, თავმჯდომარეს „სარწმუნოებისა და ადამიანობის“ კავშირისას, პირდაპირ სამარცხვინოდ მიუღია და ქალაქის თვითმმართველობისათვის შემდეგის საწინააღმდეგო წერილით მიუმართავს:

„გამოტეხილად აღვიარებ, რომ დიდის ბრიტანიის მიერ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების წინააღმდეგ დაწყებული ომი დღემდის გარდახდილ ომთა შორის ყველაზედ სამარცხვინოა. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ მალე დადგება ის დრო, როდესაც ამ გვარის ომისათვის არამც თუ თავისუფალს მეომრებს ვეღარ იშოვიან, თვით მუდმივი ჯარებიდგანაც-კი აღარავინ ისურვებს იარაღის ხმარებასა, ვინაიდგან იგი იქნება ნაყოფი მხოლოდ სასტიკის პოლიტიკისა, უპატიოსნობა.“

და ყველა ამას ამბობს ისევ ინგლისელი...

— ბურების გენერალის ქრისტიანე დევეტის ნათესავი, პოლკოვნიკი დევეტი საზარელს ამბებს მოგვითხრობსო, იწერებიან გერმანიიდგან. ინგლისელების სასტიკობასა და ველურს მოქმედებას საზღვარი თურმე არა აქვს: ბურების წინამძღოლთა ქონებას რადაც მხეცურის სიამოვნებითა და კმაყოფილებით აოხრებენ და სწვავენ, თითქოს ჯავრს ამაზედ ყრილობდნენო. ასე, მაგალითად, ერთმა ინგლისელმა ოფიცერმა ბურების ერთს დედაკაცს დედისმიტში მოკლულის შვილის ფოტოგრაფიული სურათი წაართვა და ცეცხლში დაუწვა. მეორემ კიდევ ტყვე-ბურს ხელი მოაჭრა. ბურების დედაკაცების თითქმის მესამედი ხომ ინგლისელების მიერ გაუპატიურებულია. გენერალის დევეტის ფერმაში ინგლისელებმა თურმე სკუბარი აშალეს, რომ დევეტის შვილი წადეკვითა და შიმშილით მაინც არის იძულებულ ექმნათ და თავისი სიტყვები უკანვე როგორმე დაებრუნებინათ, რომელსაც ეთქვა, რომ ინგლისელ ჯარის კაცებს პატიოსნება არა აქვთო.

— ბრიტანიის სამხედრო სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულის ცნობებით, მხოლოდ 5 თებერვალს ინგლისელებს დაუკარგავთ სამხრეთ აფრიკაში: 100 მოკლული, ამათგან 73 სხვა და სხვა სენისაგან; 109 დაჭრილი, რომელთაგანაც 18 ელვას დაუზიანებია; 47 მძიმე ავადმყოფი და 8 სადღაც დაკარგულა. და ეს ამოდენა ზარალი ერთს დღეს მოჰხვედრიათ.

ინგლისისავე ოფიციალურის ცნობებით(?), ომის დაწყებიდგან 31 იანვრამდე ინგლისელებს დაუკარგავთ სულ 54,724 კაცი, ამათგან ომში დახოცილია 15,929 კაცი; დანარჩენი ზოგი დაჭრილია, ზოგი ტყვეთ წაყვანილი, ზოგიც დაკარგული.

ჩინეთი. პეკინიდგან დეპეშით ატყობინებენ „Morning Post“-ს, რომ შანსისა და შენსის პროვინციებში დიდი შიმშილია. ასეთი შიმშილობა ჯერ ჩინეთს არსად უნახავსო, იწერებიან სინანფუდგან. ამბობენ, მცხოვრებთა ორმა მესამედმა არ იცის თავი რითი გამოიკვებოსო. ამასთან ახლა ზამთარიც ერთობ ცივი დაუდგათ, შეშა არ მოეძებნებათ და იძულებულნი არიან სახლებს ხის მასალა აჰყარონ და ისე გაათბონ სადგომებიო. იმასაც-კი ამბობენ, რომ შიმშილობისა გამო ადამიანებს დაუწყესო ჭამაო. თითონ პრინცი ჩინგი იუწყება, რომ ხალხი იძულებულია ადამიანის ხორცით გამოიკვებოს თავი, იძულებულია ლუკმა-პურისათვის დედაკაცები და ბავშვები ჰყიდოს. ამ უბედურების შესამსუბუქებლად მთავრობა ყოველსავე ღონისძიებასა ხმარობს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ნაყოფი არ მოაქვს. შანსისა და შენსის პროვინციაში-კი სულ 21 მილიონამდე ხალხი ითვლება. მაშასადამე, აქედგან ადვილი წარმოსადგენია, რამდენად დიდს გაჭირვებას უნდა ითმენდნენ ჩინელები.

მაგრამ ნაკლებ შიმშილობას არც სამხრეთ აფრიკის ადგილობრივი მცხოვრებნი თურმე ითმენენ. ადგილობრივი გაზეთი „imvo“ სწერს: „ერთმა ნეგრმა ქალმა თავისი საკუთარი ბავშვი მოჰკლა და შესჭამა, რომ სხვა საშუალება არსებობისა აღარ მოეძებნებოდა. ქალი ამის გამო ახლა დაპატიმრებულიაო“. ესეც ინგლისის სამეფო პოლიტიკის ნაყოფი!..

ხმა შორიდან.

(ჩვენთა ინტელიგენტთა საყურადღებოდ).

მეცხრამეტე საუკუნემ თავი დაგვიკრა; დადგა მეოცე საუკუნე. სამწუხაროდ, ჩვენში ისტორია ძველადაც ჰკოჭლობდა და ახალს დროშიაც როგორღაც ფეხი ვერ მოიკიდა. ალბად ჯერ კიდევ კარგა დრო გაივლის, ვიდრე მოხდება და ჩვენც გვექნება ჩვენი, თანამედროვე მეცნიერების დამაკმაყოფილებელი, ისტორია. მაგრამ თავი დავანებოთ შორეულს წარსულს და დავუბრუნდეთ უკანასკნელს საუკუნეს, რომელიც ღირსშესანიშნავი იყო ჩვენთვის ყოველმხრივ. ჩვენ გვექნება ვითომ როდისმე ამ საუკუნის შესაფერი ისტორია? მე მგონია, რომ არა, თუ ახლავე არა ვიღონეთ-რა, რადგანაც ამ დროის მახსოვარნი ნელ-ნელა ხელიდგან გვეცლებიან ისე, რომ არას გვეუბნებიან იმისას, რასაც მოსწრებიან, რაც უნახავთ, გაუგონიათ და თვით უმოქმედნიათ. თუ სხვაგან ყველა, ვისაც კი მოკითხვის ბარათის დაწერა შეუძლიან, სწერს თავის ნამხსოვარს და აუწყებს შთამომავლობას, როგორც თავისს თავ-გადასავალს, ისე ნახულსა და გაგონილს, ჩვენში თვით ნამდვილი მწერლებიც არა ჰკისრულობენ ამ საქმეს და არამც თუ შესაფერს მემუარებს, უბრალო მოგონებებსაც კი არ გვიტოვებენ. მარტო ერთი მუშაკი, ბ-ნი ზაქარია ჭიჭინაძე, შეძლებისა დაგვარად ავსებს ამ ნაკლს და გვიდგენს ჩვენთა მოღვაწეთა ბიოგრაფიებს, მაგრამ, ჯერ ერთი, ის მარტო იმისთვის ვერ იცლის და, თუნდაც მოიცალოს და თან შესაფერი მომზადებაც ჰქონდეს ამ საქმისთვის, ერთი კაცი აქ ვერას გახდება, რადგან საჭიროა უფრო ვრცელი და სისტემატიური შრომა. რასაკვირველია, ისეთ ღვთიურ ნიჭით მომადლებულთა სახელი, როგორც, მაგალითად, ნიკო ბარათაშვილი იყო, არას დროს არ მიეცემა დავიწყებას, თუმცა მათ შესახებ სულაც არა დაიწერის-რა, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელთაც მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვთ და ჩვენც მოვალენი ვართ მათი ამაგი შესაფერად მოვიხსენიოთ და მათი სახელიც ისე არ დავკარგოთ, როგორც არა ერთის და ორის მოამაგის სახელია დაკარგული ჩვენს ისტორიაში. მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი ისტორია უმთავრესად ისტორიაა ჩვენის მწერლობისა და ჩვენც, თუ ყველა ჩვენ ამ საუკუნის მწერალთა ბიოგრაფიებს და მათ ღვაწლსა და ამაგს ღირსეულად აღვნუსხავთ, ცოტად თუ ბევრად, მეცხრამეტე საუკუნის ისტორიაც ხელთ გვექნება. მართალია გვყავან თითო ოროლა საზოგადო მოღვაწენი, რომელთაც, შეიძლება, სრულიადაც არა დაეწეროთ რა და ისე-კი ბევრი რამ გაეკეთებინოთ, როგორც, მაგალითად, ამას წინად გარდაცვლილი ბ. გიორგი ღოღობერიძე (იხილე უკანასკნელის შესახებ წარმოთქმული სიტყვები ბ. ბ. აკაკისა და მ. ქიქოძისა), მაგრამ ყველა ესენი ისე დაახლოვებულნი არიან ამა თუ იმ მწერალთან, ან მწერალთა ჯგუფთან, რომ, უეჭველია, უკანასკნელთა ბიოგრაფიებში და მოღვაწეობათა აღწერაში დაიჭერენ შესაფერს ადგილს. მაშ, დროა, საქმეს შევუდგეთ, დავიწყოთ შეკრება ცნობებისა ყველა ჩვენ ამ საუკუნის მწერლებზე და როცა საკმაო მასალა შეგროვდება, დავსტამბოთ მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერილობანი, ან თვითეულისა ცალკე და ან ჯგუფ-ჯგუფად. მე-კი იმ აზრისა ვარ, რომ თუ უფრო ვრცელს ვერაფერს შევადგენთ, ჯერ-ჯერობით ისეთი მოკლე აღწერილობანი მაინც შევადგინოთ, როგორც პავლენკოვის აღწერილობანია საერთო სათაურით: „ЖИЗНЬ ЗАМѢЧАТЕЛЬНЫХЪ ЛЮДЕЙ“. ყოველ ამ აღწერილობაში უნდა მოთავსებულ იქმნას სურათი მწერლისა, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა, და აგრეთვე რამდენიმე მისი დამახასიათებელი ნაწერიც შეიძლება მოვათავსოთ, მით უმეტეს, თუ უკანასკნელთა კრებული ცალკე არ არსებობს და არც იმედია, რომ ოდესმე იქმნეს. მით უფრო საჭიროა დაჩქარება ასეთ აღწერილობათა დასტამბვისა, რომ ამ ბოლოს დროს ჩვენში გავრცელდა, ასე ვსთქვათ, დასებრივი და პირად განწყობილებაზე და სიმპატიაზე აშენებული კრიტიკა, თუ შეიძლება ეს სახელი ვუწოდოთ მას. აბა, მაგალითად, გაზეთ „ცნობის ფურცლის“ № 1347-ში (შაბათი, 6 იანვარი, 1901 წ.) მოთავსებული ფელეტონი ბ. კოტა აბაშიძისა დიდის სათაურით „ცხოვრება და ხელოვნება. მე-XIX საუკუნე საქართველოს ლიტერატურისათვის“, სადაც ერთი სიტყვითაც-კი არ არიან მოხსენებულნი იმისთანა კორიფეები ჩვენის მწერლობისა, როგორიც არიან: გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, რაფიელ ერისთავი, მამია გურიელი, გ. ჭალადიდელი და ცნობილი ბელლეტრისტები: ე. რწეულაშვილი, ლ. არდაზიანი და დ. ჭონქაძე, შემქნელნი ქართული მოთხრობისა მეXIX საუკუნეში, მაშინ როდესაც ბ.ბ. დეკანოზიშვილსა და ზურაბიშვილს მთელს ტირადებს უძღვნის ავტორი. დიახ, ჯერ ახლაც ასეთი უსამართლობა ხდება ჩვენს მწერლობაში, და რაღა იქნება ცოტა შემდეგ, როცა ჩვენს ადგილს ახალნი დაიჭერენ, რომელთაც, თუ ბ. კოტა აბაშიძის წერილებით იხელმძღვანელეს, ბევრ ჩვენ მწერალთა არსებობაც აღარ ეცოდინებათ? მაგრამ არა, მათი ღვაწლი ასე უეცრად არ გაქრება და არ დაიჩრდილება ბ. კოტა აბაშიძისაგან მოწონებულ დეკანოზიშვილისა და ზურაბიშვილის ღვაწლით ჩვენს ლიტერატურაში, რადგან ორბელიანებზე და ერისთვებზე რომ არა ვსთქვათ-რა, მამია გურიელის „ადთანი“ და ჭალადიდელის „მახსოვს პირველად“ ყოველთვის პირზედ ეკერება ყოველ ქართველს, როგორც ხელისხელ საგალობელი მარგალიტები. ვერც რწეულაშვილს, არდაზიანსა და და ჭონქაძეს დაივიწყებს ქართველი საზოგადოება, რადგან „თამარ ბატონიშვილი“, „სოლომონ ისააკიჩ მეჯღანუაშვილი“ და „სურამის ციხე“ ასე ადვილად არ აღმოიფხვრებიან ქართველ მკითხველის გულიდან. მხოლოდ არიან ისეთნი მწერალნიც, რომელნიც სწერდნენ მხოლოდ თანამედროვე საზოგადო-

---

ავსტრალიის ველურნი სჭამენ ყველა ოთხ-ფეხთ, ფრინველთ, თევზს, ბაყაყს, ჭიებს, გველს, მორიელს, ერთის სიტყვით, რაც მოხვდებათ — ყოველ-გვარ სულიერ არსებას, ამასთანავე ყოველგვარ მცენარეულობასაც. ბრაზილიის ტყეებში მცხოვრები ველური ხალხი ჯოხის ერთ წვერს ჩაასობს ხოლმე ჭიანჭველების ბუდეში, მეორე წვერს პირში ჩაიდებს, და ამ გვარად ჭიანჭველები ბუდიდგან პირში შესცოცდებიან. ამ გვარმა საჭმელმაო, ამბობს პეშელი, მაინც და მაინც დიდი ზიზღი არ უნდა მოგვგვაროს, რადგანაც ჩვენც არხეინად შევექცევით ზღვის ლოკოკინას და კიბოსაო.

საჭმლის ცეცხლზედ მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ცეცხლი არბილებს საჭმელს და ამითი აადვილებს მის დაღეჭვასა და მონელებას. რასაკვირველია, კუჭს და წელებსაც ძლიერ უსუბუქდებათ მუშაობა. დღეს დედამიწაზედ არსად არ არის არც ერთი ველური ხალხი, რომ საჭმლის ცეცხლზედ მომზადება არ იცოდეს. ადამიანი, ერთის მეცნიერის სიტყვით, ცხოველია, რომელმაც საჭმლის მომზადება იცის. როდის დაიწყო ადამიანმა ცეცხლის ხმარება — ამისი თქმა ძნელია. იქ, სადაც უძველესის ადამიანთა ძვლები ჰნახეს, აღმოაჩინეს პირუტყვთა დამწვარი ძვლებიც, რაც, რასაკვირველია, იმასა ჰმოწმობს, რომ იმ ფრიად ძველ დროსაც ადამიანს ცეცხლის ხმარება სცოდნია.

არის ერთი ლეგენდა, რომელიც გადმოგვცემს, რომ, როდესაც ტროპიკულ აფრიკის ტყეებში მოგზაურებს დილით ანთებული ცეცხლი დარჩებოდათ ხოლმე, ამ ცეცხლის გარშემო მოგროვდებოდნენ ადამიანის მსგავსი მაიმუნები და თბებოდნენ, ვიდრე ცეცხლი გაქრებოდა, ხოლო იმდენი მოსაზრება-კი არა ჰქონდათ, რომ შეშა მიემატებინათ და ცეცხლი არ ჩამქრალიყო. ეს იმას ჰმოწმობს, თუ რამდენად მძლავრია ადამიანის გონება ისეთ პირუტყვებთან შედარებითაც-კი, როგორნიც მაიმუნები არიან.

თუმცა ცეცხლის ხმარება ყველამ იცის, მაგრამ არიან ისეთნი ხალხნი, რომლებიც უფრო ხშირად უმ ხორცსა და თევზს ჰხმარობენ საჭმელად და, ამისდა მიუხედავად, იმათი კუჭი და წელები ძლიერ ადვილად ინელებს ამ გვარ საჭმელს, რაც, რასაკვირველია, კვლავ ემოწმება ჩვენ მიერ ზემოდ წარმოთქმულს აზრს, რომ ადამიანს ბუნებითვე თანდაყოლილი თვისება აქვს ცოტ-ცოტა შეეჩვიოს ყოველ გვარ საჭმლის ხმარებას.

ზოგიერთის მეცნიერის აზრით, აზიელები, რომლებიც განსაკუთრებით მცენარეულობით იკვებებიან, ამ მიზეზით არიან მოკლებულნი მხნეობას და ვერ უძლებენ ევროპიელთა მეტოქეობას. აქვე ასახელებენ ჩრდილოეთ ამერიკის მონადირე ტომთ, რომლებიც განსაკუთრებით ხორცით იკვებებიან, როგორც ძლიერთ თავისის აგებულებითა და მამაცობით.

მეცნიერ ჰეკკელის აზრით, ინგლისელები იმიტომ ისე მაღლა სდგანან ირლანდიელებზედ თავისი სულიერ სიძლიერით, რომ ხორცით იკვებებიან, ხოლო ირლანდიელნი-კი განსაკუთრებით მცენარეულობასა ჰხმარობენ. ვალერი ამტკიცებს, რომ მარტო მცენარეულობის საჭმელი ადამიანს აუძლურებსო; მე თითონაო, ამბობს ეს მეცნიერი ერთს თავისს თხზულებაში, სისუსტესა ვგრძნობდი, როდესაც რამდენიმე დღე მხოლოდ მცენარეულობით ვიკვებებოდიო.

როდესაც ცხელს ქვეყნებში მცხოვრებს ხალხს ვიხსენიებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ იმდენად საჭმელს არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, რამდენადაც თვით ამ ქვეყნების სიცხეს, რომელიც ადუნებს ადამიანს. რასაკვირველია, დიდი განსხვავებაა ცხელ და ჩრდილოეთ ქვეყნებში მცხოვრებთა შორის; ცივ და ბუნებით ღარიბ ქვეყნებში ხალხნი მუდმივ მკაცრ არსებობის ბრძოლაში არიან, რის გამოც სუსტნი იხოცებიან, ხოლო ძლიერნი მრავლდებიან, თბილ ქვეყნებში ბუნება ადამიანს შედარებით უფრო ანებივრებს.

ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ ზემო მოყვანილი აზრი ცალმხრივია, თუმცა ჩვენის აზრითაც ხორცს მართლა გავლენა აქვს ადამიანის ფიზიკურ და სულიერ აგებულობაზედ. ცხოველთა შორის ვხედავთ, რომ ისინი, რომლებიც მხოლოდ მცენარეულობით იკვებებიან, მაგალითად, ძროხა, ხარი, ცხვარი და სხ. უფრო მშვიდნი და წყნარნი არსებანი არიან, ისინი კი, რომლებიც ხორცს სჭამენ, განთქმულნი არიან თავისის სიმარდითა და სიმხეცით. ვერც ერთი ბალახის მჭამელი ცხოველი, ვერც ხარი, ვერც ცხენი და ვერც სპილო, ვერ ასწევს თავისის სხეულის წონა სიმძიმეს; ლომი-კი, თუნდაც პირში თავისის სიმძიმის ხბო ეჭიროს, მარდად გადაახტება ერთის საჟენის სიმაღლის ღობეს.

მე თითონ გავზარდე წიწილა, რომელსაც უმთავრესად ბუზებს ვაჭმევდი. როდესაც დამამლდა, საკვირველის მხეცურ ხასიათისა შეიქმნა; ძლიერ ღონიერი იყო და არა თუ შიში და მორიდება ადამიანისა არა ჰქონდა, არამედ როდესაც ეზოში შემოსულს უცხო ადამიანს დაინახავდა, ძაღლსავით მივარდებოდა ხოლმე და კბენას დაუწყებდა. ხორცს, რასაკვირველია, ადამიანის ბუნებაზედაც უნდა ჰქონდეს გავლენა.

ექიმი ბადრიძე

ებისათვის და რომელთა მოღვაწეობის შესახებაც შთამომავლობას შეიძლება სრულიად არა ეცოდინოს-რა, თუ ჩვენ, ვის თვალ წინაც გაიარა ამ მოღვაწეობამ, არაფერს ვეტყვით მაზედ. ასეთები არიან, მაგალითად, სერგეი მესხი, ევსტათი მჭედლიძე („ბოსლეველი“), მიხეილ ხელთ-უფლიშვილი და სხვანი მრავალნი, სინიდისიერნი და თავდადებულნი მუშაკნი მშობლიურ მწერლობისა და საზოგადოებრივ განვითარების სარბიელზე და ჩვენც მოვალენი ვართ, მათი ღვაწლი და ამაგი გავასაუკუნოოთ.

მე აქ პროგრამას არ ვადგენ, როგორ უნდა მოეწყოს ეს საქმე, ან ვინ უნდა აისრულოს იგი. მე მხოლოდ მინდოდა ქართველ ინტელლიგენტთა ყურადღების მიპყრობა ამ საგანზე და თუ ჩემმა წერილმა რომელიმე ჩვენი სათანადო დაწესებულების, ან კერძო პირის თანაგრძნობა გამოიწვია და, თუ ყველასი-არა ზოგ ჩვენ დავიწყებულ მწერალ-მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა მაინც მოჰყვა შედეგად ამ თანაგრძნობას, სრული კმაყოფილი ვიქნები.

მაშ, ასე ბატონებო, მეცხრამეტე საუკუნემ თავი დაგვიკრა და ამ საუკუნის ჩვენი მოღვაწენი და მწერალნი, დიმიტრი ყიფიანიდან და დიმიტრი ბაქრაძიდან დაწყებული ზემოდ ჩემ მიერ დასახელებულ მწერალ-მოღვაწეებამდე, ელიან ჩვენგან შესაფერს დაფასებას მათ ნამოღვაწევ ნაამაგევისას ახლა მაინც, როცა ის საუკუნე, რომელსაც იგინი ეკუთვნოდნენ, გათავდა და ახალი დაიწყო, და ჩვენც, ვიმეორებ, სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან, უნდა შევასრულოთ ჩვენი უწმინდესი მოვალეობა მათ და თვით შთამომავლობის მიმართაც.

დუტუ მეგრელი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ტეიერს საყურადღებო ცნობები შეუკრებია მეცხრამეტე საუკუნის ჰენიოსთა შესახებ: როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, ჰენიოსთა უმრავლესობას ღრმა სიბერემდე მიუღწევია. ორთა შუა რიცხვი რომ ავიღოთ ხანგრძლივობისა, 46 უშესანიშნავ პოეტისათვის ეს რიცხვი 66 წლით გამოიხატება; ამაზედ ადრე გარდაიცვალნენ: შელლი—30 წლისა, ბაირონი—37 წ., ლეოპარდი—39 წ., ედგარ პოე—40 წლისა; 39 მხატვრისათვის 66 წელი; 30 მემუსიკესათვის—62 წელი; 40 მეცნიერისა და 22 სასულიერო წოდების კაცისთვის—66—67 წელი; 18 ფილოსოფოსისათვის—65 წელი; 38 ისტორიკოსისათვის—73 წელი (რანკე 91 წლისა გარდაიცვალა, ბანკროფტი—90 წლ. და გიზო—80 წლისა); უფრო ხანგრძლივ იცხოვრეს რეფორმატორებმა და რევოლიუციონერებმა: კოშუტი—92 წლისა გარდაიცვალა, რესკინი—80 წლ., ჰარიბალდი—75 წლისა. პოლიტიკოსთა და სამხედრო კაცთ 71 წლამდე მიაღწიეს, სახელმწიფო მოღვაწეთ, გარდა ჰამბეტისა (44 წლისა გარდაიცვალა), კოფურისა და მანინისა (51 წლისა)—77 წლამდე. 35 შესანიშნავ ქალისათვის საშუალო ხანგრძლივობას 69 წელი შეადგენს, თუმცა სიცოცხლის დროს, როგორც ტეიერი გადმოგვცემს, ყველა ამათგანი ამბობდა, რომ 40 წელზედ უხნესი არა ვარო.

***

არისტოკრატია შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ზანგებსაცა ჰყავთ. ეს არისტოკრატია უმთავრესად ზანგების თავისუფლებისათვის მებრძოლთაგან წარმოსდგა. როგორც ვიცით, შეერთებულ შტატებში ზანგები მხოლოდ წარსულ საუკუნის მეორე ნახევარში გაანთავისუფლეს. მაგრამ განთავისუფლებამდენაც ბევრმა ზანგმა გამოიდო თავი, უმთავრესად შეძლებულთ და განათლებულთ. აი ამათგან წარმოსდგა ეს არისტოკრატია. უმთავრესად განათლებული ზანგები მწერლობის შემწეობით სცდილობდნენ თავიანთ მოძმეთა განთავისუფლებას. პირველი ჟურნალი ზანგებმა 1827 წელს დააარსეს. ნელ ნელა გაიზარდა და გაძლიერდა ზანგთა პრესსა. დღეს ზანგებს 200-ზედ მეტი დრო-გამოშვებითი გამოცემა აქვთ. ჟურნალისტთა შორის ყველაზედ საპატიო ადგილი დღეს ტომას ფორტიუნს უჭირავს, რომელიც თითქმის ყველა თვალსაჩინო ჟურნალში იღებს მონაწილეობას. ზანგთა შორის მრავალია დღეს მკურნალი, ვექილი და სხვა თავისუფალ პროფესიის მიმყოლი. მკურნალთა გამრავლებას იმ გარემოებამ შეუწყო ხელი, რომ ავადმყოფ ზანგებს საზოგადო საავადმყოფოებში არ იღებენ, ასე რომ მათ საკუთარი საავადმყოფოების დაარსება დასჭირდათ. ბევრმა ზანგმა ექიმმა არა ზანგთა შორისაც დაიმსახურა სახელი და პატივი. ასეთია, მაგალითად, ჩიკაგოელი მკურნალი დანიელ ვილიამსი. ჩიკაგოში არც ერთ თეთრ-კანიან მკურნალს არ ეტანება იმდენი ავადმყოფი, რამდენიც ამ ვილიამს. ესპანია ამერიკის ომის დროს ვილიამსი თავისუფალ მკურნალად შევიდა ჯარში. ღვთის-მეტყველნი და მღვდელნიც ბლომადა ჰყავთ ზანგებს. ზანგები საზოგადოდ მორწმუნე ხალხია. მარტო ბაბტისტთა რიცხვი მათ შორის 1,600,000 კაცს აღემატება. ამ ბაბტისტებს 20 მილიონ მანეთის შეძლება აქვთ.

* * *

უხნესს დედაკაცად მთელ დედამიწის ზურგზედ დღეს ზანგის ქალი სარალი პოლიფელდი ითვლება. ეს მოხუცი ჩრდილოეთ კოროლინაში ცხოვრობს; ახლო-მახლო ადგილებში მას „ბებია ნანსის“ ეძახიან. დაიბადა იგი 1779 წელს, მაშასადამე, ამჟამად 121 წლისაა. ადგილობრივმა მღვდელმა ლიმ, რომელიც 99 წლისა გარდაიცვალა, კარგად იცოდა ამ მოხუცის ცხოვრება, რადგანაც ასის წლის წინად ნანსი ამ მღვდლის ძიძადა ყოფილა. ნანსის რამდენიმე შვილი ჰყვანდა, მაგრამ ყველანი დაეხოცნენ. ხუთის წლის წინად ნანსი აივნიდგან გადმოვარდა და ძალიან დაშავდა. ყველას ეგონა, აღარ მორჩებაო; მაგრამ მოხუცი მეტად მაგარის აგებულებისა გამოდგა, მალე მორჩა და უწინდელებრ მუშაობას შეუდგა. ყოველ დღე მოხუცი ფეხით მიდის და მოდის ქალაქ ელლენბოროში—ორის საათის სასიარულო მანძილზედ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 იანვარი

პეტერბურგი. 31 იანვარს დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მოსკოვს წაბრძანდა.

თეოდოსია. ნება-დართულია, რომ კერჩში გამოიცეს ყოველ დღიური გაზეთი, რომელსაც ეწოდება „Южный Курьеръ“-ი.

პეკინი. ინგლისის ელჩმა აცნობა ჩინეთის რწმუნებულებს, რომ ინგლისის მთავრობა უარს ამბობს და არა ჰსურს უცნობი მანდარინი ჩჟანჰსი ინგლისში დანიშნულ განსაკუთრებულ ელჩად იცნოსო.

ბელგრადი. მეფემ მიჰმართა სერბიის ერს მოწოდებით, რომელშიაც ამბობს, რომ მილანის მმართველობა სერბიის ერისათვის აღინიშნა მთელის რიგის ღირს-სახსოვარისა და შესანიშნავ შემთხვევითაო. მისს ღვაწლსა და მოქმედებას ისტორია დააფასებს, ხოლო სერბიის ერი საუკუნოდ უნდა იყოს მადლობელი მილანისა დამოუკიდებლობის მიღწევისა, სერბიის აღდგენილ სამეფოს საზღვართა გაფართოებისა და სერბიის კულტურულად აღყვავებისათვისაო. შემდეგ მეფე ამბობს: დარწმუნებული ვარ, რომ სერბიის ერი თანაზიარია ჩემის დიდის მწუხარებისაო. დღიურს ბრძანებაში ჯარის მიმართ შექებულია მილანის განსაკუთრებულნი ღვაწლნი ჯარის საქმეში და წინადადება ეძლევა ჯარს, განსვენებულის საპატიო ხსოვნა დაიმარხოს. გაზეთები სამგლოვიარო არშიებით დაიბეჭდა. სადიპლომატიო კორპუსი შეიკრიბა წარჩინებულ მოხელეთა სახლში სამძიმრის გამოსაცხადებლად. ჯარისათვის სამის თვის მგლოვიარობაა დანიშნული; თეატრები და სამხიარულო ადგილები დაკეტილია.

პეკინი. დღევანდელს კრებაზედ ელჩებს თათბირი ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა პასუხი გავცეთ ჩინეთის მთავრობას, რომელმაც წინააღმდეგობა გამოსთქვა ჩვენ მიერ მოთხოვნილ ზოგიერთის სიკვდილით დასჯის გამოო. ელჩებმა დაადგინეს არ გადავიდნენ უწინდელს მოთხოვნილებას დამნაშავე მანდარინთა დასჯისას. შემდეგ ის აზრი გამოსთქვეს, რომ სასურველია დაუყოვნებლივ შეუდგეთ ელჩების სადგომ ადგილების განსაზღვრას და უბნის მოწყობასაო.

ლიხუნჩანგი დღეს ოფიციალურად სადარბაზოდ იყო რუსეთის ელჩთან.

სოფია. ერთმა აქაურმა გაზეთმა განაცხადა, რომ მინისტრ-პრეზიდენტის პეტროვის მიერ გამოცემული ბრძანება, რომლითაც მაკედონიის მსროლელთა საზოგადოებათ აღკრძალული აქვთ სამხედრო მოღვაწეობა, ავსტრი-უნგრეთის მოთხოვნილებით უნდა იყოს გაცემული. მთავრობის გაზეთი „Свѣтъ“-ი ჰმოწმობს, რომ მარტო ავსტრი-უნგრეთმა კი არა, არამედ სხვა დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმაც მრავალ-გზის მოითხოვეს ამ საზოგადოებათა მოღვაწეობის მოსპობა, რადგან ბალკანეთში მშვიდობიანობას შიშს უქადისო.

1 თებერვალი

პეტერბურგი. პეტერბურგის საუფლისწულო ოლქის გამგე გრაფი ნიროდი საუფლისწულო მამულების მთავარ გამგეობის უფროსის თანაშემწედ იქმნა დანიშნული.

რომი. პორტფელების განაწილება ახალს კაბინეტში ჯერ არ მომხდარა, მაგრამ კაბინეთის უმთავრეს წევრებად ცანარდელსა, ჯიოლიტსა და პრინეტს ასახელებენ.

კალკუტა. პენჯაბში ახალი პროვინცია იქმნა დაარსებული; ამ საშუალებით ხაიბერის გასავალში მცხოვრებთა ტომი ვაზირისებისა ამიერიდგან ინგლისელების გამგეობის ქვეშ იმყოფება.

მადრიდი. ხალხი ბევრს ქალაქში ჰღელავს, განსაკუთრებით-კი ბარსელონასა, სანტანდერსა დ ვილლანუარში.

ბუხარესტი. მეფემ სთხოვა კარპეს, რომ კაბინეთის სამსახურიდგან გადადგომაზედ უარი ეთქვა.

დურბანი სტანდერტონსა და გრეილისგსშტატს შუა ბურების მცირე რაზმი სდგას; როდესაც-კი შემთხვევა ეძლევათ, ბურები რკინის გზის ლიანდაგს აქცევენ, მაგრამ ინგლისელებს ბრძოლას არ უცხადებენ.

ვაშინგტონი. სტატს სეკრეტარმა გეჯმა თავისის სურვილის წინააღმდეგ დაადგინა, რომ რუსეთის შაქარს გამათანაბრებელი გარდასახადი დაედოს, რადგანაც სახელმწიფო პროკურორმა უმართებულოდ იცნო რუსეთის აზრი იმის შესახებ, რომ იგი გარეთ გასატან შაქარში პრემიებს არ აძლევს. სამინისტრო ყოველსავე ღონეს იხმარს, რომ შეერთებულ შტატების სასამართლოს მიერ საქმის გარდაწყვეტა დაჩქარებულ იქმნეს.

ნეუ-იორკი. გამათანაბრებელ გარდასახადთა შესახებ სტატს-სეკრეტარი გეჯი იმ აზრისაა, რომ, თუმცა საეჭვოა ის, რომ რუსეთი გასატან შაქარში პრემიებს იხდიდეს, მაინც იგი, როგორც სახელმწიფო მოხელე, მოვალეა ასეთი საეჭვო საკითხები თავისის მთავრობის სასარგებლოდ გარდასწყვიტოს. საგნის ასე თუ ისე გარდაწყვეტა მოკავშირეთა სამართალზეა დამოკიდებული, რომელსაც მოდავე სახელმწიფონი მიჰმართავენ.

ვაშინგტონი. გარეშე საქმეთა და ფინანსთა სამინისტროში ამ დღით აუარებელი დეპეშები მოდის იმის წინააღმდეგ, რომ რუსეთის შაქარს გამათანაბრებელი გარდასახადი დაადვეს. თითქმის ყველა ამ დეპეშებში ის აზრია გამოთქმული, რომ ასეთი გარდასახადი ამერიკიდგან რუსეთში საქონლის გატანას, რაიცა დღითი-დღე იზრდება და მომავალში დიდს იმედს იძლევა, სრულიად დააბრკოლებს,

კაპშტადტი. აქ ორი კიდევ გახდა ავად შავის ჭირით; ერთი ამათგანი უკვე გარდაიცვალა.

ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო „ალა-მაჰმად-ხანის თავის მკვეთელი მცხეთელი ანდრია (სადიხა) და მორჩილი რაჟდენ ბარამიძე“, გამოცემული იობ ისაკაძის მიერ. წიგნი 32 გვერდს შეიცავს და ღირს ორ შაურად.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამასთანავე გახლებთ „ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ სამ მანეთს, რომელიც ჭრელი დაპარაკის გამო ჯარიმად შეგრებილია.

ანა მერკვილაძისა

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

3 თებერვალს

ბრალდებულის ვასილ გორჯალაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1642 მუხ. ადნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდება.

სიმონ ჩიკვაიძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1455 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ედება ბრალად.

6 თებერვალს

ელიზბარ სამსონის ძის წერეთლისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

რომანოზ გაბუნიასი, რომელსაც ნაცხადეულად ფულების მოტაცება ბრალდება.

იოსებ გიორგის ძის წალკაშვილისა—კაცის მოკვლა ედება ბრალად.

ივანე ხვთისიაშვილისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-313 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ედება ბრალად.

8 თებერვალს

პავლე კალაძისა—კაცის მოკვლის განზრახვა ბრალდება.

დავით მიქელაძისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

ბიჭია მიქელაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1707 მუხლში აღნიშნული დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

ილიკო ჯინჭარაძისა—კაცის ჭრილობით დაშავება ბრალდება.

ბასო კვარაცხელიასი, კაცის მოკვლა ბრალდება.

ფარნა ჭიჭილიეიშვილისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე 1657 მუხლში აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ბრალდება.

სპირიდონ ფხაკაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების 1 ნაწილი მე-1456 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ბრალდება.

ბექან დავითაშვილისა, რომელსაც სასჯ. დებ. მე-1412 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ბრალდება.

განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ახალი საშუალება
თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება
„კვერცხის რძე“
სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია: დიდი ჰქა—2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.
ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—35)

Дозволено цензурою. Тифлис, 1-го Февраля 1901 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე